უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების მეორე ეტაპი გრძელდება

საქართველოს პრემიერ – მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, გურიის რეგიონში უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის შეგროვების მეორე ეტაპი მიმდინარეობს.

„გურიის რეგიონიდან განმეორებით გასაგზავნად მობილიზებულია ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც მოიცავს პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებს, მედიკამენტებსა და სასურსათო პროდუქტებს. კიდევ ერთხელ მადლობას ვუხდი ბიზნესექტორის წარმომადგენლებს, თითოეულ მოქალაქეს, საჯარო მოხელეებსა და სკოლის მოსწავლეებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ტვირთის შეგროვებაში,“–აღნიშნა გურიაში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ **ქეთევან მოისწრაფეშვილმა.**

გურიის რეგიონის მასშტაბით, პირველ ეტაპზე, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 10 ტონამდე ტვირთი გაიგზავნა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 7 (10419) 4 აპრილი, 2022 წ. ფასი 80 თეთრი.

უკრაინელი მოქალაქეები საკრებულოს დეპუტატებს მადლობას უხდიან

30 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა, ნუგზარ ურუშაძემ და დავით მდინარაძემ უკრაინის ის ხუთი მოქალაქე მოინახულეს, რომლებიც ქ. ოზურგეთში, იონა მეუნარგიას ქუჩაზე მცხოვრებ ომარ ბაკურაძის ოჯახში იმყოფებიან. უკრაინელებს შორის სამი ბავშვი და ორი ქალბატონია. დეპუტატებმა მათ საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების საგნები გადასცეს, მოისმინეს ინფორმაცია მათთვის აუცილებელი საჭიროებების შესახებ.

ექიმმა დავით მდინარაძემ უკრაინელ მოქალაქეებს დახმარება აღუთქვა იმ შემთხვევისათვის, თუკი ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემა შეიქმნება.

–*„გულწრფელი მადლობა ოზურგეთის მოქალაქეებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს გამოჩენილი გულისხმიერებისათვის. ჩვენ, უკრაინელებს დიდი იმედი გვაქვს ქართული საზოგადოების სიფხიზლის, კეთილშობილებისა და კეთილგონიერების. გისურვებთ ყველაზე მთავარს – მშვიდობიან საქართველოში ცხოვრებას,“*– აღნიშნეს ქალბატონებმა ოქსანა გოგუამ და ტატიანა პოღოსიანმა.

ოზურგეთში ჩამოსვლამდე ეს ქალბატონები თავიანთ ოჯახებთან ერთად უკრაინის ქალაქებში ხერსონსა და ნიკალაევში ცხოვრობდნენ.

ხმაურითა და ურთიერთბრალდებებით ჩატარებული რიგგარეშე საკრებულოს სხდომა

ალიონი. გასულ ხუთშაბათს გამართული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მორიგი ურთიერთდაპირისპირებითა და ხმაურით დაიწყო.

მას შემდეგ, რაც სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩიამ საკრებულოს სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა **თათია ნიკოლაიშვილმა** 2 წუთიანი სიტყვა ითხოვა. მას საკრებულოს რეგლამენტის დარღვევის გამო, სხდომის თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** სიტყვა არ მისცა, თუმცა ნიკოლაშვილი გამოსვლას აგრძელებდა და ვინაიდან საკრებულოს წევრებმა მისი გამოსვლის ჩახშობა ხმაურით სცადეს, დეპუტატი სათანადოდ მომზადებული აღმოჩნდა და დარბაზში მსხდომთ მეგაფონით მიმართა, რასაც უმრავლესობის წევრების უკმაყოფილება მოჰყვა.

– *მაშინ გამოვიყენებ ამ მეგაფონს, ხალხის ხმა უნდა მოგასმენინოთ* – თქვა თათია ნიკოლაშვილმა, რაზეც ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა უპასუხეს, რომ *„ომის პარტიას არ აქვს უფლება ილაპარაკოს.“*

თათია ნიკოლაშვილმა წარმოადგინა დაზიანებული გზების ფოტოები. ასევე, სახლების ფოტოები, სადაც ჭერი არ აქვთ ადამიანებს.

ნიკოლაშვილი ფრაქციის თავმჯდომარე, **დავით მჟავანაძემ** ჩაანაცვლა, რამაც უფრო მეტი გაღიზიანება გამოიწვია უმრავლესობაში. მჟავანაძის მთავარი ადრესატი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლავრენტი ბიგვავა იყო, რომელსაც მჟავანაძემ სასამართლოში მის წინააღმდეგ ცრუ ჩვენების მიცემაში დასდო ბრალი, რამაც ლავრენტი ბიგვავას აღშფოთება გამოიწვია და მან სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება მოითხოვა.

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა** ოპოზიცია დებოშში დაადანაშაულა. მისი თქმით, ოპოზიციის მთავარი მიზანი არის ის, რომ საკრებულომ განვლილ ოთხ წელზე არ იმსჯელოს, რადგან ისინი ყოფილ მერთან ერთად უამრავ კორუფციულ გარიგებებში იყვნენ.

დიდი ხმაურისა და საკმაო ურთიერთბრალდებების გაცვლის შემდეგ ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობის“ დეპუტატებმა სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს, რასაც დავით დარჩიას რეპლიკა მოჰყვა – *„თუ საერთოდ უკან არ დაბრუნდებით, უკეთესი იქნება“.*

ამის შემდეგ სხდომა განახლდა და საკრებულოზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხზე იმსჯელეს.

ცვლილება შევიდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" დადგენილებაში.

თავის გამოსვლაში მერის პირველმა მოადგილე **გიორგი ღურჯუმელიძემ** აღნიშნა, ეს პარტია (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) დაკავებულია ქვეყნის მავნებლობით, ტყუილებით, თითქოს მერია არაფერს არ აკეთებს, ამ დროს მათ არც ერთი საქმიანი წინადადება არ წარ-

გვ–3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისავან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გურიაში UNDP-ის პროექტები წარმატებით განხორციელდა

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე** პირველ მოადგილესთან **ლევან ჯაფარიძესთან** და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან **ავთანდილ თალაკვაძესთან** ერთად გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელს **ნიკ ბერესფორდს,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილეს **მზია გიორგობიანს** და გაეროს განვითარების პროგრამის მენეჯერს საქართველოში **თინათინ ტყეშელაშვილს** შეხვდა.

შეხვედრაზე **UNDP**-ის პროექტის „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ფაზა 2“-ის ფარგლებში რეგიონში მხარდაჭერილი ინიციატივების შედეგები და შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

2018-2021 წლებში პროექტმა ხელი შეუწყო გურიის მუნიციპალიტეტებს, შეემუშავებინათ განვითარების დოკუმენტები, საინვესტიციო პროფილები და განეხორციელებინათ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივები. ამასთან, პროექტის ფარგლებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სფეროში კვალიფიკაციისა და უნარების გაძლიერების მიზნით მოხდა ადგილობრივი საჯარო მოხელეების გადამზადება და მათთვის სასწავლო პროგრამების მიწოდება.

გურიის მუნიციპალიტეტების მიერ მოსახლეობისთვის ელექტრონული სერვისების შეთავაზების პროცესის გაუმჯობესებისთვის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერების წარმომადგენლებს გადაეცათ პერსონალური კომპიუტერები, პორტატული სკანერები და მულტიფუნქციური პრინტერები. მხარდაჭერილ იქნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 5 მუნიციპალური ინიციატივა, რომელიც მოიცავდა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში – გომის მთის განაშენიანების გეგმის შემუშავებას და „ჩაის გზის“- როგორც ტურისტული ბრენდის შექმნას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გრიგოლეთის სივრცითი განვითარების გეგმის შემუშავებას და შუა მთიან თემებში (აცანა, ჩოჩხათი) ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე საპიკნიკე, დასასვენებელი და სავაჭრო ინფრასტრუქტურის მოწყობას და სოფელ ბუკისციხეში მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მოწყობას. აღნიშნული ინიციატივები-სთვის, საერთო ჯამში, გამოყოფილ იქნა 715 350 ლარი. 380 520 ლარით დაფინანსდა მცირე საგრანტო კომპონენტის ფარგლებში 3 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია.

– *„**UNDP**-ის მიერ გურიის რეგიონში პროექტ „რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ფაზა 2“-ის ფარგლებში განხორციელებული პროექტების საერთო მოცულობამ მილიონ ლარს გადააჭარბა. პროექტმა ხელი შეუწყო თვითმმართველობის ინსტიტუტების გაძლიერებასა და მათი შესაძლებლობების ამაღლებას, პოტენციური ინვესტორებისა და მეწარმეებისთვის ბიზნეს–მეგობრული გარემოს შექმნას და საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის წახალისებას, რათა ერთობლივად შექმნან უკეთესი პირობები ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად“,* – აღნიშნა **გიორგი ურუშაძემ.**

შეხვედრა ადგილობრივ მეწარმე „ჩაის გზის“ ბენეფიციარ ლანა ჟღენტთან გაიმართა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმი



1991 წლის 31 მარტს, საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ჩაატარა რეფერენდუმი — საერთო-სახალხო კენჭისყრა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხზე.

რეფერენდუმი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილების საფუძველზე. ამ დადგ-ენილებით გაუქმდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხზე და 1991 წლის 31 მარტს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კითხვით „თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე?“

რეფერენდუმი ჩატარდა 1991 წლის 31 მარტს მთელი საქართველოს მასშტაბით. რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო სამხრეთ ოსეთის ყოფილი ოლქისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობამაც. რეფერენდუმში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა 3.302.572 ადამიანს (ამომრჩეველთა 90,3 პროცენტი). **მონაწილეთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.** რეფერენდუმის შედეგად, იმავე წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. იმავე დღეს აშშ-ის სენატმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად ცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე-ფაქტო ცნობას.

შეხვედრა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენლებთან

გურიაში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** მოადგილეებთან ერთად, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის ბაზაზე არსებულ სწავლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის წარმომადგენლებს შეხვდა და მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მოი-სმინა.

გურიის რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სწავლებისა და დასაქმების ხელ-შეწყობის ცენტრი, რომელიც დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა სასწავლო კურსს სთავაზობს.

პროექტის მიზანია, დამსაქმებლისა და პოტენციური დასაქმებულის ერთმანეთთან დაკავშირების მექანიზმით, შექმნას დასაქმების ახალი შესაძლებლობები.

დასაქმების მსურველებს ცენტრი შესაძლებლობას აძლევს ისარგებლონ ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამით.

ცენტრის სერვისებით სარგებლობა არის სრულიად უფასო.

პროექტები ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერ-ით "განათლება დასაქმებისთვის" (Skills-4jobs) პროგრამის ფარგლებ-ში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარ-ების ცენტრის (CSRDG),

საქართველოს გაეროს ასოციაციისა (UNAG) და საქართ-ველოს ღია საზოგადოების ფონდის (OSGF) ორგანიზებით.

ოზურგეთის მერიაში მოსალოდნელი გათავისუფლებასთან დაკავშირებით თანამშრომლები გააფრთხილეს

ოზურგეთის მერიაში შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებით თანამშრომლების გაფრთხილებები დაიწყო.

როგორც გაზეთ „ალიონისთვის“ გახდა ცნობილი, 31 მარტს, ოზურგეთის მერიის 35 თანამშრომელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის გიორგი ღურჯუმელიძის ხელმოწერით ელექტრონული შეტყობინებები დაეგზავნა, როგორც გაფრთხილება, თანამდებობიდან შესაძლო დათხოვნასთან დაკავშირებით.

ხმაურითა და ურთიერთბრალდებებით ჩატარებული რიგგარეშე საკრებულოს სხდომა

მოუდგენიან, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს და დაგეგმარებას ემსახურება.

საკრებულომ მიიღო ნორმატიული აქტი, 2022 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ. როგორც სხდომაზე აღინიშნა, წესში ცვლილებები შევიდა, სხვადასხვა პროგრამებში. აღნიშნული საკითხი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნათია გოლიაძემ წარმოადგინა.

– აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებს,რომლებიც ჩართულები არიან რეაბილიტაციის პროგრამაში, თერაპიას ვუფინანსებთ. დაფინანსება მიიღო ყველამ, ვინც ამა წლის 1 მარტამდე მოგვმართა, განცხადებით.

ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ (მედიკამენტები და სამედიცინო დანიშნულების საგნები),ბენეფიციარები მიიღებენ დახმარებას უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებებში – 250 ლარის ოდენობით (ნაცვლად 200 ლარისა).

მომდევნო კვირაში გაფორმდება მემორანდუმი,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის.კომპანიები ბენეფიციარებისთვის კალკულაციებს გასცემენ ფასდაკლების დღეებში არსებული ფასით, კვირის ნებისმიერ დღეს.

გარდა ამისა, იმ ბენეფიციარებს, რომლების სარეიტინგო ქულა 150 000-მდეა ზღვრულ ნორმებში მუნიციპალიტეტის კვლევების 50 პროცენტს დაუფინანსებს –განაცხადა **ნათია გოლიაძემ.**

ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა განკარგულება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის შესახებაც.

საკრებულოს სხდომაზე მსჯელობა გაიმართა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2022 წელს დამტკიცებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ირგვლივაც. საკრებულოს დარგობრივი კომისიებისა და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეებმა ვრცლად ისაუბრეს, ანგარშში წარმოდგენილ ფაქტებზე და პოლიტიკური შეფასებები გააკეთეს.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის **ლარენტი ბიგვავას** გამოსლაში აუდიტის დასკვნაში კრიტიკის თემა იყო სატვირთო ავტომანქანის და ექსკაატორის შეძენის ღირებულებები, საწვავის გაზრდილი ხარჯი, სარესტორნო მომსახურება, სოციალური და სხვა დახმარებების გაცემა სარეზერვო ფონდიდან და ა.შ.

–30 შემთხვევაში 500-ლარიანი დახმარებები გაიცა ისეთ პიროვნებებზე, რომლებიც არ საჭიროებდნენ დახმარებას. მოსახლეობიდან არ ხდებოდა დასუფთავების მოსაკრებლების ამოღება და ა.შ – აღნიშნა ლავრენტი ბიგვავამ.

სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაზრდილი ხარჯზე, არაუფლებამოსილი პირების მიერ 50.000 კვადრატული მიწის ნაკვეთის სარგებლობის შესახებ, სოფლებში „სატისის“ მიერ წყლის ხარისხსა და მოსახლეობიდან თანხების ამოღების თემაზე, ბენეფიციარების არასწორ დაგეგმაზე, სამართლებრივ პარადოქსებზე ისაუბრეს საკრებულოს დარგობლივი კომისიის თავმჯდომარეებმა **პაატა კიღურაძემ, გელა ჩავლეიშვილმა, ბექა თოიძემ,ქეთევან ხომერიკმა.**

აუდიტის დასკვნაზე პოლიტიკური შეფასება გააკეთა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **მარიკა ჩხიკვიშვილმა.**

–როგორ გაიქცნენ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სხდომიდან, რომ მათ საჯაროდ არ მოესმინათ რა ხდებოდა ოზურგეთში ბოლო 4 წლის მანძილზე და რა არის წარმოდგენილი სახელმწიფო მუნიციპალ-იტეტის 2029-2020 წლების საქმიანობის შესაბამის აუდიტის ანგარიშში.

ესაა მუნიციპალიტეტის განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიანი მართვა; ტენდერებში მონაწილე პრედენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლის რისკების

მიზანმიმართულად არგამოვლენის ფაქტი; მერიის მაღალჩინოსნების მიერ სავარაუდოდ კერძო ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომების გამო სატენდერო ეკონომიების მიღების შესაძლებლობების დაკარგვა; მერიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაუსაბუთებლად გაზრდით ბუჯეტმა დაკარგა 214 ათას ლარამდე; 4 მილიონამდე ღირებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები უხარისხოდაა შესრულებული. მაგალითად საავტომობილო გზები სოფელ ხვარბეთში, ციხისფერდში, ასკანაში, მთისპირში. ხელახალ სამუშაოებს საჭიროებს სოფელ ოზურგეთის კულტურის სახლის ახლადგარემონტებული კედლები და ფანჯრები; მერის მიერ მოსახლეობისათის სამშენებლო მასა-ების გადაცემა პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება, უნებარ-თვო მშენებლობები და ა.შ. – განაცხადა მარიკა ჩხიკვიშვილმა.

სხდომაზე საინტერესო წინადადება დააყენა ფრაქცია „საქართველოსათის“ თამჯდომარე **ალეკო ბურჭულაძემ**, რომელიც შშმ პირებს, ქალაქის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის მოწყობის საკითხებს შეეხებოდა (აღნიშნულ თემაზე წერილს მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ).

საკრებულომ, ასევე, საჯარო ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო ზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების შესახებ, დადგენილების მისაღებად.

ჩოხატაურში ქართული თეატრის დღე აღნიშნეს

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა **დავით შარაშიძემ,** კულტურის სამსახურის უფროსთან **თეა მამალაძესთან** და ა(ა)იპ კულტურის ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად, ჩოხატაურის საბალხო თეატრის ღვაწლმოსილ მსახიობებს თეატრის საერთაშორისო დღე მიულოცა და სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

ეს თარიღი მსოფლიოში 1961 წლიდან აღინიშნება, მას შემდეგ რაც თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის მეცხრე კონგრესმა ღია წერილით მიმართა სხვადასხვა ქვეყნის თეატრის მოღვაწეებს, წელიწადში ერთხელ „თეატრალთა“ პროფესიული დღესასწაული აღენიშნათ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ თეატრალურ საზოგადოებას მიულოცა თეატრის საერთაშორისო დღე.

ლანჩხუთის მერმა სამსახურების წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

როგორც ცნობილია, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიამ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს ნაგავმზიდები და კონტეინერები გადასცა.

როგორც მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, მყარი ნარჩენების შეგროვებისა და მართვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, სოფლებისთვის ხელმისაწვდომი გახდება ნარჩენების შეგროვება, როგორც კონტეინერული მეთოდით, ასევე „ზარის პრინციპით“.

ა(ა) იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ თანამშრომლებთან ერთად აღნიშნულ პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მერის წარმომადგენლებიც.

გარდა ამისა,ალექსანდრე სარიშვილმა ყურადღება გაამახვილა, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით,

საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამაზე, რომელიც 1 მარტიდან დაიწყო. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად. საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობაა.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებს.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას. დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება.

სამუშაო შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის მერმა ადმინისტრაციულ ერთეულებში მიმდინარე პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ წარმომადგენლებისაგან მიიღო ინფორმაცია.

MASHAV-ის საქმიანობის 30-ე საიუბილეო წლისთავი აღინიშნა

30 მარტს, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე, საქართველოში MASHAV-ის (ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო) საქმიანობის 30-ე საიუბილეო წლისთავი აღინიშნა. 30 წლის მანძილზე ჩატარდა ასობით ტრენინგი, საქართველოს 1600-მა მოქალაქემ გაიარა მაშავის კურსები, დაარსდა 6 "შალომ კლუბი" საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ღონისძიებაზე ერთ-ერთი საპატიო სტუმარი გახლდათ პროფესიული უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი, თამარ ქიტიაშვილი.

ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოგანსაკუთრებულ მადლობას უხდის გურიის, თბილისის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონების „შალომ კლუბებს“ და ასევე MASHAV-ის ყველა კურსდამთავრებულს, ვინც აღნიშნულ ღონისძიებას დაესწრო.

„ფასები ისე სწრაფად იცვლება, ეტიკეტების შეცვლას ვერ ვასწრებთ“

ალიონი. – ფასები ისე სწრაფად იცვლება, ეტიკეტების შეცვლას ვერ ვასწრებთ –ასე გვიპასუხეს 29 მარტს, ქ. ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილისა და ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე მდებარე მაღაზია „მაგნიტში“, სადაც უცნაური ფაქტის მოწმეები გავხდით.

5 კგ. დაფასების უმაღლესი ხარისხის ხორბლის ფქვილი „მაკფა“, რომელიც რამდენიმე დღის წინ 11 ლარი და 95 თეთრი ღირდა, 29 მარტს მისი ფასი – 13 ლარსა და 95 თეთრამდე იყო ფასი გაზრდილი....

ერთ-ერთი მომხმარებელი გვიყვება:

–მაღაზიას ერთი ოპერატორი ემსახურებოდა. რიგში მესამე ვიყავი.. უცებ სალარო აპარატი გაითიშა. რამდენიმე წუთში სალარომ მუშაობა განაახლა. როცა ჩემი რიგი მოვიდა, მოლარემ მითხრა, რომ დასახელებული ფქვილი 15 ლარი და 80 თეთრი ღირდა.

–კი მაგრამ ეტიკეტზე რომ სხვა ფასია მითითებული?

–რა ვქნა ბატონო, ეს ფასი ამომიგდო სალარო აპარატმა და ამით უნდა ვიხელმძღვანელო.

მენეჯერი ვნახეთ და ვკითხეთ, აეხსნა რა ხდებოდა.

–დღის განმავლობაში ისე სწრაფად იცვლება სხვადასხვა სასურსათო პროდუქტზე ფასები , რომ ეტიკეტების შეცვლას ვერ ვასწრებთ – გულწრფელად გვიპასუხა მან.

„მხოლოდ სამშაბათს, 29 მარტს!

შეიძინეთ დაფასებული ბურღულეული, კვერცხი და ხორცპროდუქტები "მაგნიტში" და ისარგებლეთ დღის საუკეთესო ფასით.“.. ცოტა უხერხული ხომ არაა სოციალურ ქსელში გავრცელებული „მაგნიტის“ ეს რეკლამა!

ნამდვილად არ გვაქვს პრეტენზია მაღაზიის მომსახურე პერსონალზე, მაგრამ „ზევით“ ხომ შეუძლიათ ეს თემა ასე მტკივნეული არ გახადონ მომხმარებლისთვის და დღის განმავლობაში წამდაუწუმ არ ცვლიდნენ ფასებს.

მსგავსი ფაქტები სხვა ცნობილ მარკეტებშიც ხდება.

–მაღაზია „ლიბრეში“ ვიყავი, რამდენიმე დასახელების სასურსათო პროდუქტზე იყო ფასდაკლება. სალაროსთან რომ მივედი, მოლარემ სულ სხვა ფასები დამიანგარიშა.

ჩემს პროტესტზე მან ასეთი პასუხი გავცა:

–მე სალაროს აპარატი რასაც ამომიგდებს, ისაა სწორი ფასიო...

ასეთ ფაქტებზე მომხმარებლები პროტესტს გამოთქვამენ:

–ასე არ შეიძლება, უკრაინის ომი მშვენივრად მოირგეს, და ფასებს წამწაუწუმ ცვლიან...

მომხმარებლებს კარგად ახსოვთ, ორიოდე კვირის წინ, როცა ხმებს აყოლილმა მოსახლეობამ სასწრაფოდ დაიწო შაქრის შესყიდვა და მაღაზიებმა დღის განმავლობაში შაქრის ფასი 2 ლარი და 40 თეთრიდან 4 ლარსა და 50 თეთრამდე გაზარდეს...ღარიბი მოსახლეობის ჯიბის ხარჯზე ადამიანების ერთმა ჯგუფმა დიდი მოგება ნახეს..მას შემდეგ შაქარი იშვიათობა გახდა მაღაზია „ორ ნაბიჯში,“ „მაგნიტში“ და ა.შ.

ამჟამად „ჭანუყვაძეების“ მარკეტში ერთი კილოგრამი შაქარი 2 ლარი და 80 თეთრი ღირს. სხვაგან 3 ლარის ფარგლებში.

–ბიზნესს თავისი წესები აქვს, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომს და აქედან გამოწვეულ კრიზისს მთლად სათავისოდ ნუ გამოიყენებთ. იფიქრეთ თქვენს მომხმარებლებზეც –ასე გამოხატა გაზეთ „ალიონთან“ თავისი პოზიცია კ.ი-მ.

გურულ მოჯირითეთა უცნობი დეტალები

იოსებ ცეცხლაძე

იოსებ ცეცხლაძე დაიბადა 1867 წელს სოფელ ლიხაურში, უბანი „ოქროს მუხურო“.მამამისი როსტომ ცეცხლაძე გლეხი იყო. იოსებს ჰყავდა ცხენი და მასზე ჯირითი ძალიან უყვარდა, თან კარგად მღეროდა და უკრავდა ფანდურზე. როგორც მისმა ნათესავმა ზვიად ცეცხლაძემ(ამჟამად გარდაცვლილია) მიამბო, იგი კარგი მოჯირითე იყო. ნამყოფი ყოფილა ამერიკაში, ინგლისში და კანადაში.

ამერიკაში ნამდვილად რომ იყო ნამყოფი, ამას მოწმობს რიჩარდ ჯორჯიანის მიერ გადმოგზავნილი გურულ მოჯირითეთა სიები. 1894 წელს იგი ლუკა ჩხარტიშვილთან ,კოტია ჟორდანიასთან, მარკოზ ჟღენტთან, თეიმურაზ წულაძესთან, ნიკოლოზ სურგულაძესთან, ალექსანდრე კალანდაძესთან და სხვებთან ერთად ნიუ-იორკში ჩავიდა 1894 წლის 14 მაისს და ჯირითობდა „ბუფალო ბილის უაილდ ვესტი და მსოფლიოს მოჯირითეების კონგრესი“-ში.

ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა ოჯახში, ჰყავდა ცხენი საზიდრით ტყეში შეშას ამუშავებდა და ყიდდა .ამ საქმიანობით ინახავდა ოჯახს. ისე, როგორც სხვა მოჯირითეები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანადგურებდნენ მაკოპრომენტირებელ მასალებს, ეტყობა მანც გაანადგურა ნივთები თუ დოკუმენტები, რადგან მის შესახებ მწირი მასალებია შემორჩენილი.

ოჯახს შემორენილი აქვს ერთადერთი ფოტო ცხენზე ამხედრებული იოსები, რომელიც რიჩარდ ჯორჯიანის გურიაში ყოფნის დროს (2000 წლის სექტემბერი) საჩუქრად გადასცეს მისმა ნთესავებმა , რიჩარდმა კი მე გადმომიგზავნა.

იოსებს ჰყავდა ერთი ვაჟი გიორგი – დაბადებული 1917 წელს. მეორე მსოფლიო ომიდან ინვალიდი დაბრუნდა. გიორგის ჰყავდა სამი ქალიშვილი: თამარი, ელენე და მარიამი.პირდაპირი მემკვიდრეებიდან დღეს ლიხაურში ცხოვრობს ნინო, რომელიც ნაშვილებია და თანაც ცოტა გონება შეზღუდული, ამიტომ ინტერვიუ შედგა მის ნათესავ ზვიად ცეცხლაძესთან და მის მეზობელ დარეჯან გობრონიძესთან. დარეჯანი გახლავთ პედაგოგი და იოსების ამბები მოსმენილი აქვს იოსებ ცეცხლაძის მეუღლისაგან.

იოსები გარდაიცვალა 1939 წელს. დაკრძალულია სოფელ ლიხაურში.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

„ბახვი-1 ჰიდროელექტროსადგურის“ მრჩეველთა საბჭოს სამუშაო შეხვედრა

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსად-გურის“ ოზურგეთის ოფისში (მ. კოსტავას 25, ოზურგეთი) პროექტის მენეჯმენტისა და გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე საბჭოს მორიგი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო, „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სავარო განხილვების შედეგმა, რომელიც თებერვალში ჩოხატაურში, სოფელ ჩხაკურაში, ოზურგეთსა და სოფელ მთისპირში გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით; ასევე, „ბახვი 1 ჰესის“ წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს გააცნეს 2022 წლის მეორე კვარტალში ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში არსებულ სოფლებში – მთისპირში, ჩხაკურასა და კურორტ ბახმაროში დაგეგმილი სოციალური პროექტები.

„ჩვენ გადავედით იმ ეტაპზე, როცა დანაპირების შესრულებას ვიწყებთ. არაერთხელ აღვნიშნეთ, სოციალურ პროგრამა „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული სოფლების მოსახლეობასთან და მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ერთად შევიმუშავეთ და ის, სრულად პასუხობს სოფლებში არსებულ საჭირო-ებებს. ჩვენი მთავარი მიზანია, პროგრამის მდგრადობა და კონკრეტული დადებითი შედეგების მიღება. ჩვენ გვაქვს იმის ამბიცია, რომ შევცვალოთ უკეთესობისკენ ყოფა იმ თემებში, რომლებიც პროექტის სიახლოვეს იმყოფებიან. როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, გვინდა, წვლილი შევიტანოთ ადგილობრივი თემის განვითარებაში და დავიწყოთ მუშაობა იმ პროექტებზე, რომელიც ყოველდღიურობას შეუმსუბუქებს ადგილობრივებს“ – განაცხადა „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ პროექტის განმახორციელებელი კომპანიის „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის დირექტორმა, **მიხეილ ნიბლაძემ.**

2022 წლის მეორე კვარტლის პროექტები:

2022 წლის აპრილიდან, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მთისპირის თემის 4 სოფელში (მთისპირი, ვანისქედი, ოქროსქედი, უკანავა) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხაკურაში მცხოვრებელი შშმ პირებისთვის, დაიწყება დახმარების პროგრამა;

2022 წლის 1-3 აპრილს ტარდება მთისპირის და ჩხაკურას სავარო სკოლებისა და მთისპირის საბავშვო ბაღის პედაგოგებისთვის ტრენინგი, რომლის მიზანია, ზოგადი განათლების რეფორმის საკვანძო მიმართულებების გაცნობა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვის და შეფასების სწავლება. სასწავლო კურსს გაუძღვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები;

2022 წლის აპრილიდან მთისპირის სავარო სკოლის უფროსკლასელებისთვის არაფორმალური განათლების მიმართულებით, ენერგეტიკისა და ინოვაციების სფეროში ცნობიერების ასამაღლებელი სასწავლო კურსი იწყება. კურსის ხარნგრძლივობა სამი თვეა. 2022 წლის სექტემბრიდან კურსი განახლდება და ჩხაკურას სავარო სკოლასაც მოიცავს. სპეციალური სასწავლო პროგრამა 9 – 12 კლასების მოსწავლეებზეა გათვლილი;

2022 წლის მარტიდან დაიწყო „ჩაის გზის ასოციაციის“ მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამასთან **CCEH**-ის თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება. ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტი იზრუნებს „ჩაის გზის ასოციაციის“ გაძლიერებაზე, რათა ასოციაციამ თავის მხრივ იზრუნოს როგორც ჩაის წარმოების მაღალი ხარისხის დანერგვაზე, ასევე ჩაის კულტურის იმგვარ გამოყენებაზე, რომელიც სტუმართ-მასპინძლობის სექტორში ახალ შესაძლებლობებს განავითარებს, მოიზიდავს ტურისტებს და გააჩენს დამატებით სამუშაო ადგილებს;

2022 წლის ზაფხულიდან კურორტ ბახმაროს ძირითად ქუჩაზე ლედ განათების სისტემა მოწყობა. პროექტის ფარგლებში დამონტაჟდება განათების ახალი ბოძები, მოეწყობა მიწისქვეშა გაყვანილობა. ეს პროექტი, ერთის მხრივ დაზოგავს ფინანსებს და ელექტროენერგიას, მეორეს მხრივ კი შექმნის კურორტისთვის დამატებითი პოზიციონირების შესაძლებლობას – ინოვაციური ტექნოლოგიების და ენერგოეფექტური გადაწყვეტის კუთხით. პროექტი ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (**USAID**) ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამასთან **CCEH**-ის თანაშრომლობის ფარგლებში.

„ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების საბჭოს სხდომაზე საინტერესო დისკუსია გაიმართა, მოხდა აზრთა გამოცვლა-გამოცვლა დაგეგმილი პროექტების გარშემო. საბჭოს წევრებმა საკუთარი რეკომენდაციები გაუზიარეს კომპანიის წარმომადგენლებს.

შეგახსენებთ, „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების მრჩეველთა საბჭო კომპანიის ინიციატივით შექმნილი სათათბირო ორგანოა, რომლის მიზანიცაა, პროცესში დაინტერესებული მხარეების მეტი ჩართულობა და პროექტის მეტი გამჭვირვალობა. საბჭო ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებიდან ნომინირებული 12 დამოუკიდებელი წევრისაგან შედგება. საბჭოში სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან გაერთიანებულები, კერძოდ, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია და ბიზნესი.

ჩოლოქის ბრძოლა

(1918 წლის 6 აპრილი)



შესავალი

1918 წლის აპრილის ჩოლოქის ბრძოლა ოქროს ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში.

ჩოლოქის პირას გაჩაღებულ ხუთსაათიან ბრძოლაში ქართველებმა ისე იმამამაცეს, რომ მას დავიწყება არ უწერია.

ამ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულმა გმირმა ვალოდია გოგუაძემ. აქვე დიდია გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურებაც, რომელიც ბრწყინვალედ უბამდა მხარს ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის გონივრულ მოქმედებას.

არ შეიძლება საკადრისად არ შევაფასოთ გორის გვარდიის (400 კაცი) ღვაწლიც.

წყაროები

ამ ბრძოლის წყაროებიდან უმთავრესია გურიის ფრონტის სარდლის, გენერალ მაზნიაშვილის პატაკი ამერკავკასიის ფედერაციის სამხედრო მინისტრისა და კორპუსის უფროსისადმი (გენერელი წერეთელი).

საინტერესოა მემუარული წყაროებიც: გენ. გ. მაზნიაშვილის მოგონება (პირველად 1927 წელს დაიბეჭდა, ხოლო უკანასკნელად-1991 წელს).

განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. გოგუაძის მოგონებები ჯავშნოსანის რაზმის გმირულ ბრძოლაზე (გამოსცა გურამ შარაძემ 1992 წელს).

ჩოლოქის ძლევაზე არაერთი სხვა მოგონებაცაა, რომელთა ნაწილიც ამ სტრიქონების ავტორმა ჩაწერა. გამოცემათა ავტორები გახლავან: აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი (1890-1965), რომელიც იუსტინე სიხარულიძის ყრმობის მეგობარი იყო და მისგან ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი.

დიდ ისტორიკოსს სხვათაგანაც ბევრი მოესმინა და იმ დროის პერიოდიკასაც კარგად იცნობდა.

სხვადასხვა დროს ჩავიწერეთ ეპიფანე სიხარულიძის, ანდრია სიხარულიძის, ანდრია გოგოლაძის, ნესტორ ბერძენიშვილის და სხვათა მოგონებები.

სამეცნიერო ლიტერატურა

ამ ბრძოლას გაკვრით რამდენიმე მკვლევარი ახსენებს, მაგრამ სპეციალურად იგი დღემდე შესწავლილი არ ყოფილა.

ბრძოლის თარიღი

ბრძოლის თარიღზე მემუარულ ლიტერატურაში მცირედ განსხვავებული ჩვენებებია: გ. მაზნიაშვილი აქ 6 აპრილს მიუთითებს (მოგონებანი, გვ ...). ვ. გოგუაძე კი ერთგან – 7 აპრილს ასახელებს (დაბრუნება, გვ. 440), ხოლო სხვაგან –8 -ს (იქვე, გვ. 445).

უფრო სწორი გ. მაზნიაშვილის (6.04) უნდა იყოს, რადგან გენერალი მემუარებს შინ წერდა და გენერალური შტაბის მასალებზეც მიუწვდებოდა ხელი.

ბრძოლის ადგილი

ბრძოლა მოხდა მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე, რკინიგზის ხაზთან.

მოწინააღმდეგეთა შემადგენლობა

ოსმალნი: მტრის (ოსმალთა) ძალები განლაგებული იყო მდინარის მარცხენა სანაპიროზე არსებულ ტყის მიდამოებში.

ეს ბრიგადა ჰალპოლის დივიზიაში შედიოდა (ამ დივიზიის მეორე ბრიგადა ოზურგეთზე მიემართებოდა).

ჩოლოქს მომდგარი ბრიგადის შემადგენლობას ვ. მგელაძე 7 ათასი კაცით განსაზღვრავს (მოგონებები, გვ....), რაც ქართველ მზვერავთა რაზმის (უგროსი გობრონიძე), ცნობას ემყარება (იქვე, გვ. 441).

ქართველები

ქართველები ჩოლოქის მარჯვენა სანაპიროზე იყვნენ განლაგებულნი (ამისთვის სპეციალურად მომზადებულ სანგრებში).

ესენი იყვნენ გორის გვარდ-იელები 400 კაცის რაოდენობით (ვ. გოგუაძე, გვ.443).

ამას გარდა ჯავშნოსან მატარებელზე იმყოფებოდა უშიშარ მებრძოლთა რაზმი, რომელსაც ჯავშნოსანის უფროსი ვალოდია გოგუაძე უძღვოდა.

იმ ბრძოლაში იმ რაზმმა ისეთი მამაცობა გამოიჩინა, რომ ყველა მათგანი შთამომავალთა ხსოვნისა და პატივისცემის ღირსია. სამწუხაროდ, რაზმის პერსონალი დღემდე სრულად აღწერილი არ არის.

აი, ზოგიერთი მათგანის ვინაობა, რომლებიც მემუარებში იხსენიებიან:

1. ვალოდია გოგუაძე –№4 ჯავშნოსანი მატარებლის უფროსი, საქართველოს ეროვნული გმირი, ანუ როგორც მას ევ. გეგეჭკორმა უწოდა „რევოლუციის პირველი გმირი“ (ვ. გოგუაძე, მოგონებები, წიგნში „დაბრუნება,“თბ. 1992 წ. გვ.446 (ოთხჯერ დაიჭრა);

2. იუსტინე სიხარულიძე, –ჯავშნოსანის უფროსის მოადგილე. რატომღაც არც ვალოდიას მოგონებებში იხსენიება პერსონალურად და არც მაზნიაშვილისაში (დაიჭრა).

სამაგიეროდ შემონახულია სხვადასხვა გამოცემები, რომელიც ამ სახელოვან ბრძოლაში მის აქტიურ მონაწილეობას ადასტურებს (ნიკო ბერძენიშვილი, ნესტორ ბერძენიშვილი, ეპიფანე სიხარულიძე, ანდრია გოგოლაძე, აქვსენტი სიხარულიძე, ანდრია სიხარულიძე, თვით იუსტინეს მონათხრობი და ა.შ).

3. წმიდა გიორგის ჯვრის კავალერი გობრონიძე –მზვერავთა რაზმის უფროსი;

4. სიმონ სკამკოჩაშვილი –მატარებლის ობერკოდუქტორი (დაიჭრა);

5. ელიზბარ გაგნიძე –მემანქანე (დაიჭრა);

6. ნოე გოგუაძე –ჯავშნოსანის უფროსის ძმა (დაიჭრა);

7. აკაკი ურუშაძე –ჯავშნოსანის უფროსის და გენერალ მაზნიაშვილის მეკავშირე.

დაჭრილებმა სულ 25 კაცი შეადგინეს (ისინი ქუთაისში გაგზავნეს სამკურნალოდ).

მოკლულნი: ბარნაბ გოგუაძე (მატარებლის უფროსის ბიძაშვილი, ანდრო ცეცხლაძე და კირილე ბოლქვაძე (იქვე, 443 გვ.).

მატარებელზე უნდა ყოფილიყო აგრეთვე ვალოდიას უმცროსი ძმა მელენტიც, რომელიც 8 აპრილს ოზურგეთს გაიყოლა (იქვე, გვ. 444).

მოწინააღმდეგეთა პოზიციები

5 აპრილს ქობულეთიდან ორ ნაკადადად დაიძრა მტრის ჯარები. ერთი წყება ოზურგეთისაკენ გაემართა, ხოლო მეორე (რიცხობვრივად უფრო მეტი) რკინიგზის ლიანდაგს მოყვებოდა და ნატანებზე მიდიოდა.

ქართველთა ჯარების სარდალმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა დროულად მიიღო ზომები ორთავე ფრთაზე მტრის ღირსეულად დახვედრისათვის, მაგრამ მარცხენა ფრთამ, რომელსაც მე-4 ლეგიონის მეთაური პოლკ. სიმონ წერეთელი მეთაურობდა, ვერ იმარჯვა და მტერიც თითქმის დაუბრკოლებლივ დაეუფლა ოზურგეთს. ეს უმოქმედობა ძვირად დაუჯდა წერეთელს და გადაყენეს, მაგრამ ამით ამ სირცხვილს არაფერი ეშველა.

მარცხენა ფრთის ასეთ მდგომარეობას კიდევ უფრო ამაღელვებელს ხდიდა ის დიდი ძლევა, რაც მარჯვენა ფრთაზე განხორციელდა. აქ ყველაფერი მაზნიაშვილის გეგმით წარიმართა და სამაგალითო წესრიგისა და მხედრული შემართებით აღინიშნა.

გენერალი მტრის შემოტყუებას გეგმავდა და კიდეც მიაღწია მიზანს.

დილის 3 საათზე მტერი უკვე მოუახლოვდა მდინარე ოჩხამურის ხიდს, როდესაც ქართველთა არტილერია ამოქმედდა. ოსმალები შედრკნენ, მაგრამ ხიდზე მაინც მოახერხეს გადმოსვლა და მდინარე ოჩხამურსა და მდ. ჩოლოქს შორის არსებულ ტყეს შეაფარეს თავი.

არტილერია კვლავ მოქმედებდა, ოღონდ ქართველთა სანგრები დუმდა. და ეს არა თავისთავად, არამედ გენერლის ბრძანების შესაბამისად. მაზნიაშვილს ეწადა ჯარს მაშინ აეტეხა სროლა, როდესაც მტერი ველზე გამოეფინებოდა. მანამდე სროლის ნება არავის არ ქონდა.

ბრძოლის წინ

გენერალ გიორგი მაზნიაშვილს იმ ღამეს თვალმოსახუჭად არ ეცალა და ჩვეული ენერგიულობით ემზადებოდა მტრის დასახვედრად.

პირველ საათზე მისი ადიუტანტი ეახლა ჯავშნოსანის უფროსს და გენერალთან გამოცხადება სთხოვა. ვ. გოგუაძეც ეახლა მას. გენერალი ჯარების სიმცირის გამო სუფსის ბაღმა დახევის აზრზე ყოფილა და ამ ოპერაციაში ჯავშნოსანი არიერგარდში უნდა მდგარიყო (ვ. გოგუაძე, მოგონებები, გვ. 440).

ჯავშნოსანის უფროსს არ მოეწონა ეს გეგმა, რადგან მის მატარებელს ასეთ ვითარებაში არტილერია დააზიანებდა (იქვე).

ეს აზრი არც დაუფარავს გენერლისთვის და თავისი გეგმაც შეუთავაზებია –მტრის პოზიციებში შეჭრა (იქვე). ეს აზრი პირველად არ მოწონებია გენერალს, ჯავშნოსნის რაზმის დაღუპვად მიუჩნევია და ასეთი ქმედება აუკრძალავს მისთვის კიდეც (იქვე, გვ. 440-441), მაგრამ შემდეგ დათანხმებია და თავისუფალი მოქმედების ნება დაურთავს: „როგორც ჯობდეს, ისე მოიქეცით“-ო.“(იქვე, გვ. 441).

გენერალი ასევე დამოძღვრავდა, ალბათ არტილერიისა და ქვეითი ჯარების უფროსებსაც.

ქვეითებს რაც ებრძანათ, ამაზე მოგონებებშიცაა მითითებული: ვიდრე მტერი მინდორზე არ გამოიშლებოდა, მანამდე სროლა აკრძალული იყო (გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, გვ. 39).

არტილერიას კი ადრე უნდა დაეწყო მოქმედება, რათა მტრის წინსვლა შეეჩერებინა.

2 საათზე ვ. გოგუაძე დაბრუნდა ჯავშნოსანზე და რაზმს ვითარება გააცნო. მტერი მრავალრიცხოვანია და ერთის ორმოცთან მოუხდებაო ბრძოლა(ვ. გოგუაძე, მოგ. 441). ამიტომ, თუ ვისმე ამ სიძნელის ატანა არ ძალუძს, შეუძლია დატოვოს ჯავშნოსანი და ამისთვის საყვედური არ შეხვდებაო – ბრძანა უფროსმა, მაგრამ რაზმმა ეს სიტყვები შორს დაიჭირა და სამშობლოსათვის თავდადებისთვის მზადყოფნა გამოხატა.

ამით გახარებულმა ჯავშნოსანის უფროსი წერს: „ჯავშნოსანის მეომართა შორის არცერთი სუსტი და ლაჩარი არ აღმოჩნდა“-ო (იქვე).

ამის შემდეგ რაზმმა საომრად მომზადება დაიწყო: ტყვიამფქვევის „ლენტები“, ყუმბარები, ვაზნები გადაინაწილეს, თავთავის ადგილას მოათავსეს, ყველა იარაღი შეამოწმეს, ჯავშნოსნის ბორბლები დაზეთეს და ა.შ.(იქვე).

მატარებლის უფროსმა გაფრთხილა მემანქანე ელიზბარ გაგნიძე, რათა ორთქმავლის იმდენი ძალა დაეგროვებინა, რომ სამ კილომეტრზე ძლიერი ცეცხლი არ დასჭირვებოდა.“(იქვე).

ამასთანავე აუცილებელი იყო მზვერავთა რაზმის ამოქმედება და გობრონიძეც თავისი მზვერავებით მტრისკენ გაეშურა (იქვე).

მზვერავებს კარგად შეუსრულებიათ დავალება და დროულად და უდანაკარგოდ დაბრუნდნენ (იქვე).

გობრონიძემ მატარებლის უფროსს მტრის რაოდენობაზე და განლაგებაზეც ხელშესახები ცნობები წარუდგინა (იქვე).

ჯავშნოსანის უფროსმა კარგად უწყოდა თავისი გამოსვლის დრო და ახლა ყოველმხრივ მომზადებული მას ელოდა...

საბრძოლო რაიონის და არტილერიის უფროსი

გენ. გ. მაზნიაშვილმა საბრძოლო რაიონის უფროსად დანიშნა კაპიტანი კარგარეთელი, რომელიც, როგორც ჩანს არტილერიის უფროსობასაც ითავსებდა (გ. მაზნიაშვილი, მოგ. გვ. 19).

ბრძოლის დაწყება და განვითარება (ჯავშნოსნის დიდი როლი)

გ. მაზნიაშვილის ცნობით, ბრძოლა ღამის 3 საათზე დაიწყო ქართულმა არტილერიამ (გ. მაზნიაშვილი, მოგ. გვ 18-19).

მტერი ამ დროს ოჩხამურის ხიდს უახლოვდებოდა და არტილერიაც მის შეფერხებას ცდილობდა.

ოსმალები რკინიგზას მოჰყვებოდნენ, მაგრამ ჩვენი არტილერია გზატკეცილსაც უშენდა, რადგან შიშობდა, რკინიგზიდან მათ გზატკეცილისკენ არ გადაენაცვლებინათ.

ძლიერმა საარტილეო სროლამ დააფიქრა მტერი და იგი, სავსებით სწორად, ფრთხილობდა და ბრძოლის დაწყებას არ ჩქარობდა. მისი მთავარი ამოცანა იყო როგორმე ჩოლოქისპირა ტყეებამდე მიეღწია და იქ დალოდებოდა გათენებას.

ეს ამოცანა მან წარმატებით შესარულა და ახლა ალაჰის იმედს მინდობილნი ელოდა ბრძოლაში ჩაბმის ბრძანებას.

ორივე მხარე სამარისებულ სიჩუმეში იყო ჩაძირული და ასე ეგებებოდა სამკვდრო-საციცოცხლო ომს.

ქართველთა ტაქტიკა მტრის შემოტევაზე იყო შეფარდებული, მაგრამ, რადგან ოსმალო არ აქტიურობდა, აუცილებელი იყო რითიმე მათი გამოყვანა ბრძოლის ველზე.

და აი, ჯავშნოსნის ამოქმედების ჟამიც დადგა.

სანამ მატარებელი დაიძვრებოდა, ვ. მგელაძემ თავისი მჭექარე ხმით რაზმს ასე მიმართა:

სამშობლოს დროშა აკმართოთ,
საქვეყნოდ ავაფრიალოთ,
გავიდეთ ბრძოლის ველზედა,
ბომბები დავაგრიალოთ...

და შემდეგ:

სამშობლოს დროშა აღვმართოთ,
წინ-წინ გავწიოთ მტერზედა,
მას უყვარს დედა-სამშობლო,
ვინც მიდის ბრძოლის ველზედა!

(მოგ. გვ. 441).

ჯავშნოსნელებს საბრძოლო აღტკინება არ აკლდათ, მაგრამ ამ ლექსმაც შეასრულა, ალბათ, თავისი მიზანდასახულობა.

ამის შემდეგ ჯავშნოსანი აგრიალდა და დილის ხუთ საათზე უკვე ჩოლოქის ხიდთან იყო.(იქვე).

მატარებლის გრიალმა დიდი სიხარული გამოიწვია სანგრებში მყოფ ჯარში.

ხიდს გაღმა ოსმალო გუშაგები იდგნენ, რომელთა დატყვევება იყო აუცილებელი და ეს ამოცანაც ჯავშნოსნელებმა წარმატებით შეასრულეს.

ეს იყო და ჯავშნოსანი გავიდა ხიდზე, შევიდა მტრის ბანაკში და შეჩერდა.

„ოსმალო ჯარს იქაურობა აევსო“ –შენიშნავს ვ. გოგუაძე და განაგრძობს: „რკინიგზის აღმოსავლეთით, ნაყანევი ადგილები მტრის ჯარებით იყო გავსებული“ (იქვე, გვ. 441).

ამასობაში გათენდა კიდეც და ზოგიერთი გაბედული ოსმალო მატარებელთანაც მივიდა. ნაწილი კიბეებზე შედგა, ხოლო ზოგიც ქვემეხებისა და ტყვიამფქვევის ლულებსაც ჩამოეკიდა.

ამის დამნახავი სხვებიც წინ წამოვიდა და რკინიგზასთან დიდ-ძალმა ჯარმა მოიყარა თავი.

ამ გულუბრყვილობის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და ჯავშნოსანის უფროსის ბრძანებით ცეცხლი გაიხსნა...

ამისთანა ვითარება ისტორიაში იშვიათია და მას ქართველთა შთამბეჭდავი გამარჯვებაც მოჰყვა.

ჯავშნოსნის ცეცხლმა უმალვე ასობით მტერი იმსხვერპლა, ხოლო ვინც გადარჩა, საფარს მიაშურა და იქედან ისროდა.

ჯავშნოსანი მანევრირებდა და იქეთკენ მიმართავდა ცეცხლს, სადაც მეტი ოსმალო იყო შეგროვილი.

ასეთი მოქმედებით საქმე იქამდე მივიდა, რომ 11 საათისთვის მტერს დიდი ზარალი ჰქონდა მიყენებული, თუმცა იგი მაინც არ ცხრებოდა და „მამაცურად იბრძოდა.“ (იქვე, გვ. 442).

ამ ბრძოლის შედეგი იყო, რომ

გვ-7

ნარუჯის სკოლა ინტელექტ თამაშების გამარჯვებულია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრის ახალგაზრდული განყოფილების ორგანიზებით, დღეს, 29 მარტს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მუნიციპალიტეტის სკოლებს შორის გაიმართა გაზაფხულის სეზონის ინტელექტ-თამაშების ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა: შრომის „შრომა“, ვაკიჯვრის „ტოლსტოევსკი“, ნარუჯის „ერუდიტი“ და შემოქმედის „ლოგოსი“.

საბოლოოდ საპრიზო ადგილები ასე გადანაწილდა: IV ადგილი - შრომის „შრომა“, III - ვაკიჯვრის „ტოლსტოევსკი“, II - შემოქმედის „ლოგოსი“, ხოლო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ნარუჯის „ერუდიტმა“, ინტელექტ-თამაშებს: რა? სად? როდის? უძღვებოდა ცენტრის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი, მონაწილეებს სამახსოვრო საჩუქრები და დიპლომები გადასცა რესურსცენტრის დირექტორმა ლელა იმედაშვილმა, სააპელაციო კომისიას ხელმძღვანელობდა ტურიზმის და ახალგაზრდული განყოფილების გამგე მათე სკამკოჩაშვილი.

ცენტრის დირექტორმა ავთანდილ სირბილაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელს, ხატია გიორგაძეს ჩემპიონატის წარმატებით ჩატარებისათვის.

სულთათანა

ქალაქის №3 საბავშვო ბაღის 1998 წლის გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები მშობლებთან ერთად იუწყებიან საყვარელი აღმზრდელის **როზა ბებოს (ჟლენტი)** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სოსო გაგუას თასს ფოთის „კოლხეთი“ დაეუფლა

დამთავრდა ცნობილი მწვრთნელის, სოსო გაგუას სახელობის თასის გათამაშება 2009 წელს დაბადებულებ ბავშვებს შორის ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ: ბათუმის „დინამო“, ფოთის „კოლხეთი“, ლანჩხუთის „გურია“, ოზურგეთის „მერცხალი“ .

ტურნირზე ბათუმელებმა „მერცხალი“ დაამარცხეს 3:1, ხოლო ფოთელებმა ლანჩხუთელები 4:1.

ფინალში კი ფოთის „კოლხეთმა“ ბათუმის „დინამო“ 2:1 დაამარცხა და სოსო გაგუას სახელობის თასის მფლობელები გახდნენ.

ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები და ფასიანი საჩუქრები!

საუკეთესო ფეხბურთელი – **გიორგია ახალაია** (ფოთი); საუკეთესო თავდამსხმელი– **სბა ფაცურია** (ლანჩხუთი); საუკეთესო მცველი – **ბაჩი დევიძე** (ოზურგეთი); საუკეთესო – **დემეტრე ჩხიკვაძე** (ფოთი); საუკეთესო მეკარე – **დაჩი ზოიძე** (ბათუმი); ყველაზე პერსპექტიული –**ირაკლი შეწირული** (ოზურგეთი); განსაკუთრებული პრიზი– **გაბრიელ ბერიძე** (ბათუმი).

ტურნირი ორგანიზებული იყო საქართველოს და გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციების მიერ.

ტურნირის ჩატარება უზრუნველყო საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ადმინისტრაციამ.

რუსმა ჟურნალისტმა პოლონეთის ნაკრები დაწყევლა

პოლონეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე გასასვლელი პლეი-ოფის საგზური რუსეთის გათამაშებიდან მოხსნის გამო მოიპოვა, 30 მარტს კი საკუთარ მოედანზე შვედეთს 2:0 სძლია და მუნდიალზე გავიდა.

ხოჟუვის სტადიონზე გულშემატკივრები რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინსა და რუსეთს შეურაცხყოფას აყენებდნენ. ფანები სკანდირებდნენ: „ლუსკა კურწა!“ – „რუსი მეძავი“.

მატჩ ტვ-ის წამყვანმა ანტონ ანისიმოვმა ეთერში პოლონელებს მსოფლიოს ჩემპიონატზე წარუმატებლობა უსურვა: „მინდა პირადად და არა არხის სახელით ვთქვა, კონკრეტულად ჩემი სახელით. პოლონეთის ნაკრებს და მათ შორის ლევანდოვსკის ყატარში უდიდეს მარცხს ვუსურვებ. ბიჭებო, „წარმატება“ თქვენ, თქვენ საზიზღარი ქმნილებები ხართ”.

უკრაინის ფეხბურთის ასოციაციამ პოლონეთს გამარჯვება მიულოცა: „მოგესალმებით თქვენ, ძმებო და ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ყატარში მუნდიალზე შემოგიერთდებით! დიდება პოლონეთს! დიდება უკრაინას!”

სკანვორდი



პასუხები:

ლიტერატურული ფორმა; ალეგორია-ალეგორიული; ბეთლემი; ალეგორია; ალეგორიული; ალეგორია; ალეგორიული; ალეგორია; ალეგორიული

ჩოლოქის ბრძოლა

(1918 წლის 6 აპრილი)

ჯავშნოსნის წინა რონოდში სისხლის გუბე იდგა და რაზმელთა უმეტესობაც დაჭრილი ეყარა.

მძიმედ დაიჭრა ობერკონდუქტორი სიმონ სკამკოჩაიშვილი, რომელიც მატარებლიდან იყო ჩამოსული გზის გასასინჯად. ის მაშინვე აიყვანეს მატარებელზე, მაგრამ მის მოსავლელად არავის ცხელოდა (იქვე).

რამდენიმე საათის ბრძოლაში ჯავშნოსანმა უთუოდ დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ამ ბრძოლის შეფასებაში ვ. გოგუაძე მაინც აჭარბებს, როდესაც ამბობს, რომ 11 საათისთვის, ვიდრე სანგრები ამოქმედდებოდნენ, თითქოს „მტრის უმთავრესი ძალები უკვე განადგურებული იყო“(იქვე).

ბრძოლის ველზე ამ დროს მხოლდ რამდენიმე ასეული მოკლული და დაჭრილი იწვა, ხოლო ათასობით (სულ 7 ათასი) ჯერ კიდევ საღ-სალამათი და ბრძოლის უნარიანი გახლდათ.

ჯავშნოსანმა ბრწყინვალე პლერუდია შეუქნა ჩოლოქის ბრძოლას, მაგრამ გადამწყვეტი ეტაპი წინ იყო და ის ჯავშნოსნის, არტილერიისა და ფეხოსანთა ერთობლივი მამაცობით განხორციელდა ცოტა მოგვიანებით.

საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ 11 საათზე ჯავშნოსნის პირველი რონოდა რელსიდან გადავარდა.

ვ. გოგუაძე თავის მოგონებებში ამის მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ ამ ხარვეზს გენ. გ. მაზნიაშვილი ავსებს: წინა რონოდის გადავარდნა იმ დრეზინის დაჯახებას გამოუწვევია, რომელიც ოსმალოებს გამოუშვიათ ჩვენი ჯავშნოსანის წინააღმდეგ (გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, გვ. 19).

რატომ გამორჩა ეს დრეზინა ვ. გოგუაძეს, არ ვიცი, მაგრამ მისი და გენერლის მოგონებები ამ ნაწილში ერთმანეთს არ ემთხვევა.

გენერალი დრეზინის გამოშვებას მატარებლის მთავარ ხაზზე გასვლის ახლო ხანებში მიიჩნევს (იქვე), ხოლო ვ. გოგუაძე დილის 11 საათისათვის, როდესაც ჯავშნოსანს დიდი ბრძოლა ჰქონდა უკვე გაწეული (ვ. გოგუაძე, მოგ. გვ. 441).

უფრო სწორი ჯავშნოსანის უფროსის ცნობა უნდა იყოს, რადგან იგი უშუალოდ აკონტროლებდა მას და ყოველი წვრილმანი უკეთ მოეხსენებოდა, ვიდრე სარდალს, რომელიც მთელ ბრძოლას ხელმძღვანელობდა.

წინა ვაგონის გადავარდნამ ძალიან გაახარა მტერი და ჯარისკაცები მისკენ გამოიქცნენ. ასეთ დროს ცეცხლი იყო საჭირო, მაგრამ ბოლო რონოდა რატომღაც დუმდა.

ამ ამბავით გაკვირვებულმა ჯავშნოსანის უფროსმა ბოლო რონოდისკენ ერთი რაზმელი აფრინა, მაგრამ ის ძირს ჩამოსვლისთანავე დაჭრეს და მეომრებმა ისევ რონოდაში დააბრუნეს (იქვე, გვ. 441).

ასევე მოუვიდა მემანქანე ელიზბარ გაგნიძესაც (რაც ითქვა) და ბოლოს თვით ვ. გოგუაძე ჩახტა ძირს და გადავარდნილი რონოდისკენ გახოხდა და მშვიდობიანაც მიაღწია. კარიც გაულეს და შიგ შევიდა, მაგრამ რას ხედავს, რონოდა სისხლითაა სავსე და მკვდრებით და დაჭრილებით სავსე. ერთადერთი, ვისაც ბრძოლა შეეძლო, ეს ვალოდის ძმა ნოე იყო და ისროდა კიდეც. მაგრამ უფროსმა თავი დაანებებინა სროლას და უკანა რონოდაში გაგზავნა. ჩახტა თუ არა ნოე, მაშინვე ხელში დაჭრეს, მაგრამ ამას არ შეუფერხებია, მიაღწია დანიშნულების ადგილს და გადასცა უფროსის ბრძანება ცეცხლის გახსნის თაობაზე.

მალე უკანა რონოდაც ამოქმედდა და მისი ცეცხლით კარგად გადაფარა წინა რონოდა, სადაც ამ დროს მატარებლის უფროსი იმყოფებოდა.

ამით ისარგებლა ვ. გოგუაძემ და სათვალთვალო კოშკზე ავიდა, რათა უფრო კარგად გარკვეულიყო მტრის განლაგებსა და მოძრაობაში.

ეს იყო ოსმალებიც კვლავ დაიძრნენ.... უკანა რონოდის ცეცხლი თანდათან კლებულობდა, რადგან ხშირი სროლისგან ტყვიამფრქვევი მწყობრიდან გამოსულიყო (იქვე, გვ. 445).

ამან საშუალება მისცა მტერს უფრო ენერგიულად დაეწყო შეტევა ჯავშნოსანზე და დასავლეთიდან მაშველი ჯარი შემოასია (იქვე).

როდესაც ჯავშნოსანს აღარც ამუნაცია გააჩნდა აღარც მებრძოლები ჰყავდა, ორი გზა რჩებოდა: ან ჩაბარებოდა მტერს, ან და აეფეთქებინა იგი. ვ. გოგუაძემ უკანასკნელი ამჯობინა, მაგრამ საბედნიეროდ, ელექტრონის მავთული მტრის ტყვიას დაეზიანებია და ეს დიდი ბრძოლის გადამხდელი ჯავშნოსანი – თვითლიკვიდაციას გადაურჩა (იქვე).

ამის შემდეგ ვ. გოგუაძემ აკაკი ურუშაძის პირით თხოვა ჯარის მიშველიება და მალე გორის გვარდიაც გამოჩნდა (იქვე). ისინი ჩოლოქის ფონით გავიდნენ ბრძოლის ველზე და მამაცური ბრძოლით მალე დასჯაბნეს მტერი, რომელმაც უკან იბრუნა პირი.

შეშინებულ და გატეხილ მტერს დიდხანს მისდევდნენ ქართველი მეომრები და მხოლოდ ოჩხამურის ხიდის გაღმა გასულებს მოეშვნენ. როდესაც უკან დაბრუნდნენ, უკვე „ნაშუადღევის 4 სათი“ იყო (გ.მაზნიაშვილი, მოგონებები, გვ. 40).

ამის შემდეგ ხელოსნებსაც მიეცათ ჯავშნოსანთან მისვლის შესაძლებლობა და რონოდაც მალე შედგეს რელსებზე. გამარჯვებული ჯარი სანგრებს დაუბრუნდა, ხოლო ჯავშნოსანი – ჩიხს (იქვე).

ასე დამთავრდა ეს შესანიშნავი ბრძოლა.

ოსმალთა დანაკლისი

მტრის ზარალი ჯერ-ჯერობით დადგენილი არ არის. გენ. გ. მაზნიაშვილი კორპუსის სარდლის გენერალ ვასილ გამაშვილისადმი (შტაბი სამტრედიას) გაგზავნილ მოხსენებით ბარათში ოსმალთა მსხვერპლს წინასწარულად „ხუთასკაცზე“ მეტს ვარაუდობდა (გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, 1990, გვ. 41).

ამ ბრწყინვალე გამარჯვების ხმა შორს გავარდა და ქართველ სამხედროთა დიდი ინტერესი გამოიწვია. მოსალოცად და ბრძოლის ველის დასათვალიერებლად მოერე დღესვე (7.04.1918) ჩავიდნენ ნატანების კორპუსის სარდალი და მაშინდელი ქართული არმიისა და გვარდიის თვალსაჩინო ხელმძღვანელები: ვალიკო ჯუღელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე დგებუაძე, გენერალი ს. მაისურაძე და პოლკოვნიკი კონიაშვილი, რომელთაც უშუალოდ დათვალიერეს ამ საოცარი ბრძოლის ადგილი (მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროზე) და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ დაღუპულ ოსმალთა რიცხვი ველსა და მიმდებარე ტყეში ერთადაღებული „ათასამდე“ იქნებოდა.

დიდი ჩანს მტრის დაჭრილთა რიცხვიც. როგორც ბათომიდან იმ საღამოს (6.04) ამოსული ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე ბრძანებდა, იმავე დღეს ქობულეთიდან ბათომს მატარებლით გადაუყვანიათ 600-მდე დაჭრილი ოსმალო (იქვე, გვ.40).

ქართველთა ზარალი

ქართველთა გვარდია, რომელიც ჩინებულად იყო შეფარებული სანგრებს და არსებითად ბრძოლის ველი საკმაოდ იყო დაშორებული, პირველ ხანებში ნაკლებად უნდა დაზიანებულიყო. სხვა საქმეა მას შემდეგ, რაც ისინი ჩოლოქის ჩოლოქის ფონით მარცხენა სანაპიროზე გადავიდნენ.

ყველაზე უფრო ჯავშნოსანი მატარებლის რაზმი დაზიანდა. ეს ბუნებრივიცაა. ამ ბრძოლის მთელი სიმძიმე მათ ზურგზე გადაიარა და ზიანიც შესაბამისი იყო.

ძმები გოგუაძეები ჯავშანმატარებლის ფონზე: ზემოთ ვალოდია გოგუაძე; ქვემოთ: ალფესი, ნოე, მელენტი გოგუაძეები

საკმაოდ დიდი იყო დაჭრილთა რაოდენობა. ორ ათეულზე მეტი იყო. აქედან 25 ქუთაისს გაგზავნეს სამკურნალოდ (ვ. გოგუაძე, მოგონებები, გვ. 443), ხოლო ზოგიც ადგილზე დარჩა, კერძოდ ვალოდია გოგუაძე, რომელსაც ოთხი ჭრილობა ჰქონდა, მათ შორის ერთი განსაკუთრებით მძიმე, ტყვია თითქმის ბარძაყამდე იყო მისული (იქვე).

დაჭრილი გმირი მიხეილ ნაკაშიძეს წაუყვანია ოჯახში, კარგადაც მოუვლია და გამასპინძლებია კიდეც (იქვე), მაგრამ ოპერაციისათვის მიქელ-გაბრიელს არავითარი საშუალება არ იყო და უნდა მოეთმინა დაჭრილს.

მეორე დღეს ის უკვე ფეხზე იდგა და გენერლის ავტომობილით ოზურგეთისაკენ მიქროდა, სანამ მტერი არ შეაჩერებდა ვაშლნარს და კვლავ ახალ ჭრილობას არ მიაყენებდა (იქვე, გვ.444).

ამათ გარდა რამდენიმე კაცი კიდევ ყოფილა დაჭრილი (ალბათ გვარდიელებიდან). ამას მოწმობს გენ. მაზნიაშვილის ცნობა, სულ 30 დაჭრილის თაობაზე (მისი მოგონებები, გვ.40).

ეს 5 კაციც, ალბათ, ქუთაისს იყო გაგზავნილი, სადაც სხვები.

გვარდიელთაგან, ჩანს, ერთიც დაღუპულა, რადგან, როგორც გენერალი ბრძანებდა, ამ ბრძოლაში ჩვენებს მხოლოდ 4 კაცი დაუკარგავთ (იქვე).

აქედან სამი ჯავშნოსანიდან იყო და ყველა მათგანის ვინაობაა ცნობილი ვ. გოგუაძის მოგონებების წყალობით. მეოთხეს ვინაობას არც გენერალი გვამცნობს და არც ვ. გოგუაძე. ამ გმირს არც სხვა ვინმე გამოჩენია გამოსავლენად და სამახსოვროდ.

ჩოლოქის გმირი თბილისს

მტერს კარგახნით დაუკარგავს ხალისი ნატანებზე წამოსვლისა, მაგრამ ვალოდია გოგუაძე ფრონტზე მაინც საჭირო იყო, თუმცა მისი მკურნალობის გადადება კიდევ შეიძლება ძვირი დაჯდომოდა ქვეყანას. ამიტომ იგი იძულებული იყო, მისივე უკვე ლეგენდარული ჯავშნოსნით დედაქალაქს გამგზავრებულიყო.

იმავე მატარებლით მიასვენებდნენ ბრძოლაში დაღუპულებსაც, რომელთა გვამებსაც ჯავშნოსანის უფროსი ჭირისუფლებს უტოვებდა სამძიმრის წერილის თანხლებით (იქვე, გვ. 445).

იმ დროს უკვე მთელ ქვეყანაში იყო განფენილი ვ. გოგუაძის საარაკო გმირობა და რკინიგზის სადგურებში ჯავშნოსანს „აუარებელი ხალხი“ ეგებებოდა (იქვე).

და ხდებოდა არა პასიურად, არამედ მიტინგებს მართავდნენ და მგზნებარე სიტყვებსაც წარმოთქვამდნენ (ნესტორ ბერძენიშვილი (1880-1970) ცნობა).

პირველი ასეთი შეხვედრა სუფსას გამართულა, შემდეგ ლანჩხუთს, სამტრედიას, ზესტაფონს და ა.შ.

კიდევ უფრო დიდი იყო დედაქალაქის დახვედრა და უკიდეგანო სიხარული (ვ. გოგუაძე, მოგ. გვ. 445).

თბილისის ვაგზალზე მთავრობის წარმომადგენლები და ჟურნალისტებიც ბლომად იყვნენ (იქვე).

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ევგენი გეგეჭკორი მეთაურობდა, იმის მომხრე იყო, როგორც ისტორიული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი, შეუკეთებლად გადაცემოდა მუზეუმს და ძეგლად დარჩებოდა შთამომავლობას, მაგრამ მთავრობას არ თანაუგრძნობდა ვ. გოგუაძე, რომელმაც ჯავშნოსნების სიმცირის პირობებში არ შეეძლო შეგუებოდა ამ ფეხბედნიერი მატარებლის უქმად დგომას სიძველეთა საცავში... ამიტომ ყასიდად დათანხმდა მთავრობას, მაგრამ ჯავშნოსანი მაინც შესაკეთებლად გადასცა (იქვე).

ჯავშნოსანი შეაკეთეს და მალე კვლავ ბრძოლის ველზე გავიდა და კვლავ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს არმიას (ამ ჯავშნოსანზე ერთ დროს, ალბათ მშვენიერი გამოკვლევაც დაიწერება).

„რევოლუციის პირველი გმირი“

დედაქალაქის ასეთი საზეიმო შეხვედრა, რაც ვალოდია გოგუაძეს ერგო, საუკუნეთა განმავლობაში არც ერთ ქართველს არ ღირსებია, მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობა მარტოოდენ ამით არ ფიქრობდა მისი ღვაწლის დაფასებას და მას მთავრობის სასახლეში უპირებდა მისალმებას.

ეს იმავე წლის 13 აპრილს მოხდა თეთრ დარბაზში, სადაც საოლქო ყრილობა მიმდინარეობდა.

ყრილობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ, როდესაც სპეციალურად მოწვეულ გმირს მოჰკრა თვალი, პრეზიდიუმში მიიწვია, დროებით შეწყვიტა კამათი და დარბაზს, რომელშიც 1500-მდე დელეგეტი იყო შეკრებილი, მიმართა: -„გთხოვთ მესალმოთ ამხანაგ გოგუაძეს, რომელმაც მტერი დაამარცხა და ხიფათისგან გვიხსნა“(ვ. გოგუაძე, მოგონებები, გვ. 446).

ჟორდანიას ამ სიტყვებს დარბაზის დიდი ოვაციები მოჰყვა (იქვე), მაგრამ ამით არ დამთავრებულა ეს შეხვედრა.

სიტყვა აიღო ქართველმა ოქროპირმა ირაკლი (კაკი) წერეთელმა და ჩვეული ორატორული ხელოვნებით დაახასიათა ჩოლოქის გმირი.

თვით გმირი თავის მემუარებში მხოლოდ იმას გვაუწყებს, რომ თეთრ დარბაზში პირველი გამოვიდა ირაკლი წერეთელი (იქვე), ხოლო სიტყვის შინაარსზე არაფერს ამბობს.არ შეიძლება ვისმე იმ საღამოს თავის დღიურში არ ჩაეწერა ეს სიტყვა, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არც ასეთ ჩანაწერს ვიცნობთ და არც სხვას.

სხვათაშორის ირაკლი ამ სახელგანთქმული ბრძოლის წინ თვითონ ბრძანდებოდა ნატანებს და კიდეც ჩაეწერა ამ ლეგენდარულ ჯავშნოსანზე მებრძოლად (იქვე, გვ. 440), მაგრამ, ეტყობა მალე მოუხდა ნატანებიდან გამომგზავრება და ჩოლოქის ძლევაში მონაწილეობა არ მიუღია.

შემდეგ ვრცელი სიტყვა წარმოუთქვამს ევგენი გეგეჭკორს და ჩინებულად დაუხატავს რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი და ჩოლოქის იშვიათი ძლევის გმირის პორტრეტი. დასასრულ, სხდომისთვის მიუმართავს, რომ ასეთი სახელოვანი მებრძოლისთვის ეძღვნათ „რევოლუციის პირველი გმირის“ სახელი.

დარბაზმა ერთხმად დაუჭირა მხარი გეგეჭკორს და დაუდასტურა წინადადება (იქვე).

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა გმირს.

ვალოდია კარგი ორატორი იყო და სიტყვა უჭრიდა. ამაში პოეტური ბუნებაც უწყობდა ხელს, მაგრამ იმდენად ბევრი არ ულაპარაკია, რადგან, როგორც დასწრეები იუწყებიან, ქებამაც ძალიან დაოსა და ტყვიანი ფეხიც ძალიან აწუხებდა.

დარბაზი კვლავ დიდი ოვაციით გამოეთხოვა საყვარელ გმირს და შემდგომი წარმატებები უსურვა (ნესტორ ბერძენიშვილი).

ოპერაცია

ბარძაყამდე მისული ტყვიის ორგანიზმში კიდევ დიდხანს დატოვება შეუძლებელი იყო, არა მარტო იმიტომ, რომ ეს ჯანმრთელობისთვის იყო საზიანო, არამედ იმიტომ, უშიშარი რაინდი ფრონტებს ჭირდებოდათ. ამიტომ იგი იძულებული გახდა ოპერაცია გაეკეთებინა.

ეს მისი მთავრობის სასახლეში მიყვანის შემდეგ მოხდა.

ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და გმირიც სულ მალე დადგა ფეხზე.

ამასობაში ჯავშნოსანი შეაკეთეს და ვ. გოგუაძე მზად იყო საბრძოლველად.

ეს ჯამიც მალე დადგა. სულ მალე ყაზახში ანტიქართულმა ავჯანყებამ იფეთქა და ჩოლოქის გმირიც თავისი ნაცადი ჯავშნოსნითაც ყაზახისკენ დაიძრა.

ეს იყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების (9 (22) აპრილი, 1918) ახლო ხანებში.

საქმე მშვიდობიანად მოგვარდა და გმირი კვლავ ძლევამოსილი დაუბრუნდა თბილისს.

იური სიხარულიძე
პროფესორი

ანსამბლი „შვიდკაცა“ 65 წლისაა

სახალხო ანსამბლი „შვიდკაცა“ შეიქმნა 1957 წელს, ცნობილი მომღერლის, მოკრიმანჭულე ლოტბარ მიხეილ შავიშვილის მიერ.

მიხეილ შავიშვილმა შეკრიბა ნიჭიერი ახალგაზრდები და შექმნა საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი ანსამბლი.

ანსამბლ „შვიდკაცას“ პირველ შემადგენლობაში იყვნენ: *მიხელ შავიშვილი, აკაკი ბეშიტაიშვილი, ამირან ბაბილოძე, ვალერიან ქავთარაძე, ნოდარ ქარცივაძე, ანტონ თავამაიშვილი, გური ურუშაძე, ვაჟა რუსიეშვილი.* შემდეგ იყო თაობათა ცვლა და ანსამბლს შეემატნენ: *ზაურ ბოლქვაძე, თეიმურაზ ქილიფთარი, ალექსანდრე გოგავა, ბადრი ინგოროყვა, ტრისტან სიხარულიძე, ილია ჯინჭარაძე, ზურაბ გადახბაძე, თანდულა ნაცვალაძე, გელა ცელაძე, ამირან მახარაძე, სერგო ქარჩილაძე* და სხვ.

მიხელ შავიშვილმა თავიდან გაამახვილა ყურადღება გურული სიმღერების აღდგენა-განვითარებაზე. რა თქმა უნდა, ჰქონდა სხვა კუთხის სიმღერებიც.

ანსამბლი „შვიდკაცა“მონაწილეა თითქმის ყველა რესპუბლიკური და ადგილობრივი ღონისძიებების. მიწვეული იყო საკავშირო ფესტივალებზე და გამოფენაზე, სადაც ღირსეული შეფასებით და ჯილდოებით ბრუნდებოდა.

1970 წელს ანსაბლი „შვიდკაცა“ უცხოეთის ტურნეში გაემგზავრა. წარმატებული გასტროლები ჰქონდა იტალია-სიცილიაში. შემდეგ „შვიდკაცა“ ინგლისში (შოტლანდია) მიიწვიეს. ამას მოჰყვა გასტროლები ესპანეთში, ჰოლანდიაში, საბერძნეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთში, უნგრეთში, ეგვიპტეში და სხვ.

1978 წელს ანსამბლ „შვიდკაცას“ მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება.

გამოცემული აქვს ერთი კომპაქტ-დისკი.

მიხეილ შავიშვილის გარდაცვალების შემდეგ ანსაბლს მე ჩავუდექი სათავეში. ანსაბლის მთელი შემადგენლობით ვმუშაობთ გურული სიმღერების მოძიებასა და მის აღდგენა განვითარებაზე. რეპერტუარში გვაქვს საქართველოს ყველა კუთხის ხალხური და კომპოზიტორების მიერ შექმნილი სიმღერები.

ამჟამად ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრები არიან: *ტრისტან სიხარულიძე (ხელმძღვანელი), ამირან გოლიაძე (ლოტბარი), ილია ინწკირველი, ლევან ნინიძე, გელა ლომჯარია, ლუკა გოლიაძე, ვალერი კალანდაძე, მერაბ კალანდაძე, ნიკოლოზ გოგოტიშვილი, მამუკა სირაძე, ალექსანდრე ბურჭულაძე, ლაშა გოგოტიშვილი.*

ჩვენი მიზანია – რაც შეიძლება მეტი სიმღერები მოიძიოს და გააცნოს მაყურებელს, –ამით ვალი მოიხადოს წინაპარ მომღერლების წინაშე და გადასცენ მომავალ თაობას ეს ძვირფასი განძი.

ტრისტან სიხარულიძე,
ანსაბლ „შვიდკაცას“ სამხატვრო

„ქართული სამუსიკო ფოლკლორის ლოდი თავკიდური...“

ერთი წლის წინ, 31 მარტს ანზორ ერქომაიშვილი გარდაიცვალა– ქართველი მუსიკოსი, პოლიტიკოსი, ფოლკლორისტი, ხელოვნების მუშაკი, საგუნდო დირიჟორი, ხალხური სიმღერების შემკრები...- ქართული სამუსიკო ფოლკლორის ლოდი თავკიდური...

იგი 1940 წლის 10 აგვისტოს დაიბადა დავით ერქომაიშვილისა და ეთერ გორდელაძის ოჯახში. გახლდათ თვითნასწავლი მომღერლის, არტემ ერქომაიშვილის შვილიშვილი. არტემისვე რჩევით მიიღო უმაღლესი მუსიკალური განათლება, ჩაბარა კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელიც 1969 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო გურული საგალობლებისა და ხალხური სიმღერების გადატანა ნოტებზე. კონსერვატორიაში დააარსა ამ სიმღერების შემსწავლელი ვოკალური ანსამბლი „ვორდელა“.

1968 წლიდან იყო ვოკალურ ანსამბლ „რუსთავის“ ხელმძღვანელი. ანსამბლთან ერთად საგასტროლოდ იყო საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში. 1972–1975 წლებში რუსთავის სამუსიკო სკოლის დირექტორი. გამოცემული აქვს მის მიერვე ჩაწერილი და გაშიფრული 7 ქართული (გურული) ხალხური სიმღერა (1972, მოსკოვი). გამოსაცემად მოამზადა კრებული „გურული ხალხური სიმღერები“.

2008 წელს ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან გახდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი . 2009 წლიდან შეწყვიტა საკანონმდებლო საქმიანობა და არის ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

ანზორ ერქომაიშვილს 1969 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 2014 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება.

მინიჭებული ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის, შოთა რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის ,იაკობ გოგებაშვილის, ალბერტ შვაიცერის სახელობის პრემიები.

ქართული საგუნდო მუსიკის, ფოლკლორის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და ქვეყნის წინაშე აღმატებული ღვაწლისათვის 2020 წელს დაჯილდოვდა ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით.

ავტორია წიგნებისა „ხმა უცნაური“, „ბაბუა“ (1980), „შავი შაშვი ჩიოდა“ (1988).

ანზორ ერქომაიშვილი დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

„დატოვა მემკვიდრეობა, რომელიც ათწლეულები ასაზრდოებს ქართულ სიმღერას.

ერთი წლის გადასახედიდან, ვგრძნობთ დიდ დანაკლისს, მისი არყოფნის და დიდ სიამაყეს, რომ ის არსებობდა.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ბატონო ანზორ ყველაფრისათვის.

ბატონი ანზორი ოზურგეთის სალოტბარო სკოლას ხშირად სტუმრობდა. დარბაზში დამჯდარი, თვალდახუჭული უსმენდა ბავშვების ნაღერს. არ გამოეპარებოდა არც ერთი ნიუანსი. ბავშვებისადმი საოცარ მზრუნველობასა და სიყვარულს ამყლავნებდა, განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები უყვარდა და აღარ იცოდა, რითი დაესაჩუქრებინა.

ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შემდეგ საოცარი სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. მთავარი კი ამ სიტყვიდან ეს ამონარიდია: ***„ მე და ტრისტანი ახლა ვგავართ იმ გლეხებს, რომლებმაც ჭირნახული მოიწიეს და აგუნას გადასახადი უდგათ, გისმენთ და გული სიამაყით მევსება, რომ ჩემი ბაბუა არტემისთვის მიცემული პირობა ასე სასიკეთოდ შესრულდაო“...***

იმ წუთში სულ სხვა თვალით შევხედე ჩვენთვის სათაყვანებელ ბატონ ანზორს. ჩვენს წინ იდგა ერთი გულანთებული გურული კაცი: სულით ხორცამდე სამშობლოს, ხალხური სიმღერისა და მომღერალი ბავშვების სიყვარულით გაჟღენთილი - ახლა უკვე თვითონ ბაბუა ანზორი.

დღეს, როდესაც ერთი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, ვფიქრობ რომ მარტო ბაბუა არტემის კი არა, ანზორ ბაბუს ნატვრაც ახდა: მისმა ბადიშებმა საქართველოს სხადასხვა კუთხიდან კვლავ ააჟღრეს და გააცოცხლეს ქართული ხალხური სიმღერა. და გაჰყვა თაობებს სიმღერა“... ამბობს ეთნომუსიკოლოგი **მაია გელაშვილი.**

„ლანჩხუთი“ საქართველოს თასის გათამაშების ორგზის გამარჯვებულია

ქ. ქუთაისში, რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე საქართველოს ქალთა თასის ფინალში „ლანჩხუთი“ და ხობის „კოლხეთი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ნახევარფინალში „ლანჩხუთმა“ თბილისში „ნიკე დაამარცხა. დამატებით დროში მეგი გოცირიძემ და საქართველოს ქალთა ლიგის 2021 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა, ხატია ჭყონიამ ორი უპასუხო გოლი გაუტანეს „ნიკეს“ და თასის ფინალში გავიდნენ.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ზუგდიდში ხობის „კო-ლხეთმა“ მეგრულ დერბიში ქალთა ლიგა 2-ის „ფენიქსი“ დაამარცხა 6:0. (გოლები ანა წულაია 2, თამუნა თავდიშვილი, სალომე თო-დუა, თამარ სვანიძე 20) და პირველად გავიდა საქართველოს თასის გათამაშების ფინალში.

ფინალურ მატში, მე-13 წუთზე „ლანჩხუთელმა“ ხატია ჭყონიამ გახსნა ანგარში, რომელიც შემდეგ ანა წულაიამ გაათანაბრა. მეორე ტაიმში ხობელმა მცველმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. 1:2. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა და „ლანჩხუთი“ საქართველოს თასის მფლობელი მეორედ გახდა.

ვულოცავთ ლანჩხუთელებს ამ გამარჯვებას.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, ღრუბელი +7+13
4 აპრილი
ორშაბათი

წვიმა +9+14
5 აპრილი
სამშაბათი

წვიმა +10+15
6 აპრილი
ოთხშაბათი

წვიმა +9+14
7 აპრილი
ხუთშაბათი

ღრუბელი +7+14
8 აპრილი
პარასკევი

წვიმა +6+11
9 აპრილი
შაბათი

მზე, ღრუბელი +6+14
10 აპრილი
კვირა